

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დაბა ნარუჯის მაჟორიტარი დეპუტატის ვალოდია ბერიძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

## ანგარიში

წინამდებარე ანგარიში დადგენილია ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა, სადაც გავიმარჯვე 65%-ით და გავხდი საკრებულოს წევრი დაბა ნარუჯის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. 1. საფინანსო-საბიუჯეტო, 2.სამანდატო საპროცედურო იურდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" -ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 19-ჯერ, დავესწარი კომისიების სხდომებს 38-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 13 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 2 შეხვედრა.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ 47 მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას.

ჩემს მიერ როგორც საკრებულოში ასევე მუნიციპალიტეტის მერიაში დაყენებული იქნა დაბის პრობლემები რომელთა უმეტესი ნაწილი გადაწყდა დადებითად და ნაწილი პროექტებისა გათვალისწინებული არის მიდინარე წლისთვის. კერძოდ:

დაბის შიდა და მუნიციპალიტეტის ცენტრთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით დაბაში ბეტონის საფარით მოეწყო შიდა გზები სულ 500 მეტრი.

დაბაში ნაწილობრივ შეკეთებული და აღდგენილი იქნა სტიქიის შედეგად დაზიანებული 4-ი საერთო საცხოვრებელის სახლების სახურავები, ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით შენარჩუნებული იქნა დაბის წყალსადენის სათაო ნაგებობა, რომელზეც აშენდა 280 მეტრი სიგრძის და 4-ი მეტრი სიმაღლის დამბა.

ასევე საარჩევნო პერიოდში ჩვენი შვამდგომლობით დაყენებული იქნა და დასრულებულია დაბა ნარუჯის გაზიფიცირება.

ასევე ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის და საკრებულოს მიერ გამოყოფილ იქნა თანხა ცენტრალური გზის პროექტირებისათვის. რომელიც მზადაა და ელოდება ტენდერს.

აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი მავნებელი მწერის ფაროსანასთან ბძოლის საქმეებში, როგორც შეწამვის პროცესში ასევე მოსახლეობის ინფორმირებაში მავნებელთან მექანიკური წესებით ბრძოლის შესახებ.

აქტიურად ვმონაწილეობდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის და სხვა საკანონმდებლო აქტების მიღების პროცესში.

აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა ჩატარებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო თანადგომისათვის საქართველოს პარლამენტის წევრს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ არჩილ თალაკვაძეს რომლის მიერ დაბა ნარუჯაში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისთვის, ასევე დაბის მაცხოვრებელს გოჩა ებრალიძეს რომესაც ამოწურული ჰქონდა სადაზღვევო თანხა დაუფინანსა ქუთაისის საავადმყოფოში მისი მთლიანი მკურნალობა.

მე როგორც საკრებულოს წევრი ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და დაბის ამომრჩევლებთან რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს დაბა ნარუჯისათვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს.

**საკრებულოს წევრი  
დაბა ნარუჯის მაჟორიტარი დეპუტატი  
ვალოდია ბერიძე  
11.02.2019 წელი**